

13.04.11

### საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად 8%-ზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2011 წლის 13 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტს შეადგენს.

2011 წლის მარტში სამომხმარებლო ფასები არ შეცვლილა და თებერვლის დონეზე დარჩა, ხოლო წლიურმა ინფლაციამ 13.9 პროცენტი შეადგინა. მარტში საწვავის და ხილის გაძვირება ყველის და ბოსტნეულის გაიაფებამ დააკომპენსირა. წლიურ ინფლაციაში კვლავ მნიშვნელოვანია ბოლო თვეების განმავლობაში სურსათისა და საწვავის გაძვირების ეფექტი, რაც საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდას უკავშირდება. წლიური საბაზო ინფლაცია (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) მარტში 2.2 პროცენტს შეადგენდა, ასევე დაბალი იყო მომსახურების სექტორის წლიური ინფლაცია – 2.1 პროცენტი. არსებული მონაცემები არ იძლევა ინფლაციის მოლოდინის ზრდის პროგნოზის საფუძველს. ინფლაციის არსებული დონე რამდენიმე თვე შენარჩუნდება და შემდეგ შემცირებას დაიწყებს.

2010 წლის მეორე ნახევარსა და 2011 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგები ნაწილობრივ უკვე აისახა ეკონომიკაზე, რაც გამოიხატა ფართე ფულადი აგრეგატების წლიურ ზრდის ტემპების მკვეთრ შემცირებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა აგრძელებს ფისკალურ კონსოლიდაციას. სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო ცვლილების მიხედვით, მთავრობამ წლის განმავლობაში სარეზერვო ფულზე გავლენა დაახლოებით 100 მილიონი ლარით შეამცირა.

წინა პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებისა და მიმდინარე ფისკალური კონსოლიდაციის ფონზე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა არ ჩათვალა საჭიროდ მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება. საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2011 წლის 25 მაისს გაიმართება.